<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილისა და შალვა თათუხაშვილის მკვლელობებთან დაკავშირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 56-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარების“ და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონების“ წარდგინებით გათვალისწინებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის ბარბარე რაფალიანცისა და ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილისა და შალვა თათუხაშილის გამოუძიებელ მკვლელობის საქმეების შესწავლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისითა და მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, რათა დადგინდეს აღნიშნული მკვლელობების ჩადენის მიზანი დას მიზეზი.

3. დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხია - ბარბარე რაფალიანცის, ეროსი კიწმარიშვილისა და შალვა თათუხაშვილის გამოუძიებელი მკვლელობის საქმეების შესწავლა.

4. დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 3 თვე.

5. დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 11 წევრით.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით უსუფაშვილი*